ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1193356

ნომერი: AR1206536

თარიღი : 24.03.2014

გაცემის თარიღი : 31.03.2014

გაცნობის თარიღი : 31.03.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გულია , N 1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარინა იონიდისი პ/ნ 01034000138
- თბილისი ასპინძის II ქ. N 15

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1206536 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.18.05.009.041) ავტომატიზირებული ავტოსამრეცხაოს განთავსებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.18.05.009.041) ავტოსამრეცხაოს განთავსება არქიტექტურის სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, არ მიაჩნია შესაძლებლად, ვინაიდან ტერიტორია ხვდება მდ. მტკვრის დაცვის ზონაში, ამასთან საკადასტრო ერთეული მდებარეობს ორთაჭალის ხიდისა და გულიას მოედნის უშუალო სიახლოვეს, შესაბამისად, მოცემულ მიწის ნაკვეთზე ვერ იქნება დაცული ქალაქ თბილისის მთავრობის #01.14.11. დადგენილებაში მოცემული პირობები და რეკომენდაციები კერძოდ, ავტოსამრეცხაოს მომსახურეობა უნდა ხდებოდეს ქუჩიდან ჩაუხედავობის პრინციპის დაცვით (იხ.დანართი).

აქვე მოგახსენებთ, რომ თქვენს დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე, ვრცელდება დროებითი შეზღუდვა: „საქართველოს საავტომობილო გზების რიგ მონაკვეთებზე რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის (მშენებლობის) სამუშაოების განხორციელების მიზნით, ზოგიერთ გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ 2009 წლის 18 თებერვლის #104 (ცვლილება 25.04.2013წ. #340) საქართველოს მთავრობის განკარგულების მიხედვით. 2009-2011 წლიდან დაგეგმილია გზების მონაკვეთების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოები, მათ შორის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის გორი-სამტრედიის მონაკვეთის, თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის თბილისი-საგარეჯოს მონაკვეთის, თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთებისა და ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის საავტომობილო გზის ფონიჭალა-მარნეულის მონაკვეთის. ზემოაღნიშნულ საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციით გათვალისწინებულ მონაკვეთებზე საპროექტო გადაწყვეტილებებით დაგეგმილი სამუშაოების დასრულებამდე შეჩერებული იქნა გზის ღერძიდან 100 მეტრიან ზოლში მიწების გასხვისება ან გზისპირა ინფრასტრუქტურის ობიექტების განთავსებაზე ნებართვების გაცემა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.